სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 3 17 00367578

19/04/2017

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ ლაშა გრიგოლიას

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლის (ს/კ 44.15.22.037) სპორტული დარბაზის შენობის ტექნიკური მდგომარეობა შესწავლილია სააგენტოს თანამშრომლების მიერ.

1974 წელს აშენებული სკოლის სპორტული დარბაზის შენობა გეგმაში 9.4X18.5 მ ზომისაა. კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. დახურვა რ/ზ ანაკრები კონსტრუქციებით არის შესრულებული. გამოყენებულია 9 მეტრიანი რ/ზ კოჭები, რომლებზეც დამონტაჟებულია წიბოვანი ფილები. 6 მ-იანი ბიჯით განლაგებული კოჭები შენობის კედლებში ჩაყოლებულ (5.6 მ სიმაღლის) რ/ზ სვეტებზეა დამონტაჟებული. ფილები განაპირა მალებში აგურის კედლებს ეყრდნობა. სპორტულ დარბაზში, წლების განმავლობაში დაზიანებული ბრტყელი სახურავიდან ჩადენილი წყალი აზიანებდა დახურვის ფილებს და კოჭებს. ფილების არმატურა ბევრ ადგილას გაშიშვლებული და კოროზირებულია. კოჭებში და ფილებში გაჩენილია ბზარები. ფილების, კოჭების და კედლების ზედაპირი გამწვანებულია. აგურის კედლებში (კუთხეებში) გაჩენილია ვერტიკალური ბზარები. სვეტების არმატურა გაშიშვლებული და კოროზირებულია.

სპორტული დარბაზი სასწავლო შენობასთან (გეგმაში 10.8X7.0 მ ზომის) გადასასვლელი ნაგებობითაა დაკავშირებული. გადასასვლელი ნაგებობის კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. გადასასვლელის დახურვის რ/ზ ფილები დარბაზის ფილების ანალოგიურადაა დაზიანებული.

სკოლის სპორტული დარბაზის შენობის და გადასასვლელი ნაგებობის აღდგენა, მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი დაზიანებების გამო არარენტაბელურია. მიზანშეწონილია სკოლის სპორტული დარბაზის შენობას და გადასასვლელ ნაგებობას ჩაუტარდეს დემონტაჟი.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზი მაჩაიძე